№ 30 თებერვალი 8, შაბათი 1892 თებერვალი 8, შაბათი № 30

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ,ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

გაზეთი „**ივერია**“ თებერვლის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 9 მან. 50 კაპ.

„ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ამ მომავალს კვირას სიონის საკათედრო ეკკლესიაში იქმნება, ჩვეულებისამებრ, საღამოს ლოცვის შემდეგ, ქადაგება ქართულს ენაზედ. ამ ქადაგებებში, როგორც მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ექსარხოსის ნება-რთვით დამტკიცებულს სიონის მქადაგებელთაგან მიღებულს პროგრამაშია აღნიშნული, განმარტული იქნება მესამე მცნება უფლის სჯულისა. (2—1)

თანხმად მე-4 § განკარგულებისა, რომელიც სახელმწიფო ქონებათა მინისტრისაგან განცხადებულ ექმნა უმართებულესს სენატს ფილოქსერის გავრცელების წინაამდეგ ღონისძიებათა შესახებ, კავკასიის ფილოქსერის კომიტეტი ამით აუწყებს, რომ მან სცნა ქვემო-ხსენებული ადგილები ქუთაისის გუბერნიისა ფილოქსერის სენით მოდებული: ქუთაისის, შორაპნის და სენაკის მაზრები და რიონის ხეობაში მდებარე მიწები სოფელ დერჩისი, ლეჩხუმის მაზრისა, იმავე გუბერნიისა;

ფილოქსერის მხრით საეჭვოა შემდეგი ადგილები: 1) ქუთაისის გუბერნიაში: ლეჩხუმის მაზრა, გარდა სვანეთის საბოქაულოსი, რაჭის, ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრები და ბათუმის და სუხუმის ოლქები, და 2) ტფილისის გუბერნიაში გორის მაზრაში ადგილი შემდეგ საზღვართა შორის:

სამხრეთით—მ. მტკვარი. სოფ. ტაშის კარიდგან სოფ. გომამდის და თვით სოფ. გომი; აღმოსავლეთით—პირდაპირი ხაზი, გასწვრივ სოფ. გომიდგან ცხრა-მუხა და ფცხნისის სერების ქედზედ, მერე თვით ეს ქედი გორის მაზრის დასავლეთის საზღვრამდის; ჩრდილოეთით და დასავლეთით იმავე მაზრის დასავლეთი საზღვარი (ქედი, რომელიც ჰყოფს ტფილისის გუბერნიას ქუთაისის გუბერნიისაგან). (3—2)

ახალი ამბავი

⁂ სასოფლო პურის მაღაზიებს განაგებენ, კანონის ძალისამებრ, თვით სოფლის საზოგადოებანი, რომელნიც ამისათვის ირჩევენ ზედამხედველებს, ანუ ამბარდანებს, როგორც ჩვენი გლეხი უწოდებს. უმთავრე ი ზედამხედველობა მაღაზიებისა მინდობილი ჰქონდათ მაზრის უფროსებს და მომრიგებელს შუა-კაცებს. სადა სახაზინო გლეხები სცხოვრებენ, იქ განაგებდენ მაზრის უფროსნი; ხოლო სადა დროებით ვალდებულნი გლეხნი,—იმათ მაღაზიებს ყურს უგდებდნენ მომრიგებელი შუა-კაცნი. პირველ იანვრიდან-კი, როგორც შევიტყეთ, ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, პურის მაღაზიები ყველა სოფელში, განურჩევლად იმისა, თუ რა გვარი გლეხნი მკვიდრობენ, გადაეცემა მაზრის უფროსებს, რომელთაც უფრო კარგად მიჰყავთ ეს საქმე. საფიქრებელი-კი იყო, რომ პურის მაღაზიების საქმე მომრიგებელ შუა-კაცთ უფრო კარგად უნდა წაეყვანათ, ვიდრე მაზრის უფროსებს, რადგან უკანასკნელნი თავიანთ მრავალ-გვარ მოვალეობის ასრულებასაც ვერ ასდიან.

⁂ მოსკოვის ქალაქის მოურავი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ალექსეევი ამ თთვის 6 ტფილისში ჩამოვიდა ხორბლის სასყიდლად მოსკოვისათვის.

⁂ ხვალ, კვირა დილით, 9 თებერვალს, კურთხევა იქნება ქალაქის ლაბორატორიისა. კურთხევას დაესწრება მთელი გამგეობა. აგრეთვე მოწვეულნი არიან ხმოსნები ქალაქის საბჭოსი. ლაბორატორია მოთავსებულია ქალაქის სახლში, სადაც ადრე გამსესხებელი კასსა იყო ქალაქისა. ლაბორატორიას ორი პატარა ოთახი უჭირავს, მაგრამ ეს ოთახები ისე ჩინებულად არის მოწყობილი, რომ ყოველივე საჭირო აპარატები და მაშინები თავ-თავისს რიგზედ სდგას და მუშაობას არ დაუშლის, გინდა სამი ოთხი ლაბორანტი იჯდეს შიგ. ყურადღებას იქცევს მაშინები, რომელიც ისე მომართული, რომ ქიმიურად გაისინჯოს საჭმელ-სასმელი სანოვაგე და შემოწმებულ იქმნას მისი ღირსება; მაგალითად, გაისინჯოს რძე, ღვინო, ერბო, ხორცი და სხვანი. კედლებში გაყვანილია მრავალ-გვარი მილი, მომართულია სხვა-და-სხვა „ონკანი“ და სხვანი. კედლებში მომართულია ისეთი დახურული შკაფები, საიდგანაც გაფუჭებული ჰაერი და ბუღი გარედ გადის და ოთახში არ უშვებს სუნს. ლაბორანტს ალიხეგოვს შეუდგენია კიდეც საჭირო ბიბლიოთეკა. კარგს-კი იზამდა ქალაქის თვით-მართველობა, რომ ერთი ან ორი ფართო ოთახი კიდევ მიემატებინა ამ ლაბორატორიისთვის, რადგან ეს ჩინებული დაწესებულება დიდს სამსახურს გაუწევს ქალაქელებს და სანოვაგის სიყალბეს ფრთას ძალიან შეაკვეცავს.

⁂ 6 თებერვალს, საღამოზედ, კრება ჰქონდა ქალაქის გამგეობის დარბაზში იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს შემწეობა აღმოუჩინოს ნათლი-ღების უბედურობისა გამო დაზარებულთ. დიდ-ძალი მთხოვნელი მოაწყდა კომისიას, რომელიც ღამის ათ საათამდე მოუნდა მათის თხოვნების განხილვას. ამ საღამოზე კომისიამ დაარიგა ოც თუმნამდე. ბევრი ისეთები თხოულობენ დახმარებასა და შემწეობას, რომელთაც არავითარი ზარალი არ მოჰსვლიათ უბედურობის დროს და ტყუილ-უბრალოდ აწუხებენ კომისიას. მაგრამ ამ შემთხვევაში ბევრსა ჰშველიან კომისიას ქალაქის აგენტები, რომელთაც დაწვრილებით შეიტყეს ყველა დაზარალებულთა ვინაობა, ვრცელი აღწერა შეადგინეს მათის ყოფა-მდგომარეობისა და გამოირკვიეს, თუ ვინ უფრო დიდს გაჭირვებაშია.

⁂ ავსტრიიდგან ტფილისში ჩამოვიდა სწავლული ბეითალი ერნესტო ბონდი, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს, რა ღონის ძიებით შეიძლება მოისპოს საქონლის ჭირი კავკასიაში.

⁂ ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ტფილისის სომეხთა სემინარიის მასწავლებელს ბ-ნს არუთინიანცს ბეჭდვის საქმეთა მთავარ-სამართველოსაგან უარი მოსვლია ტფილისში საყმაწვილო ჟურნალის ბეჭდვისა.

⁂ საერო სასწავლებლის დირექტორმა ბ-ნ ტფილისის გუბერნატორისაგან ქაღალდი მიიღო იმის შესახებ, რომ, საერო განათლების მინისტრის განკარგულებისამებრ, უნდა დაესწრო ხოლმე საგუბერნიო საკრებულოს კრებაზედ, როცა-კი ამ კრებას განსახილველი ექმნება საერო განათლების შესახები საქმე, ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებით გამოწვეული.

⁂ იუსტიციის სამინისტრომ საგანგებო კომისია გამოგზავნა ამიერ კავკასიაში გამიჯვნის საქმეების განსახილველად. კომისია ხუთის კაცი-

---

ფელეტონი

ბახტრიონი

(შემდეგი, იხ. „ივერია“ № 29)

IV

ცაზედ დამქრალან ვარსკვლავნი,
პირი ემურვის მთვარესა,
მთანი თავ-ჩაჩქნიანები
ფიქრს მისცემიან მწარესა.
ცა თვალს უცემდა სატრფოსა,
გრიალი მოდის შორითა,
მოდის ხმა ჟღრიამულისა
მარჯვნივ და მარცხნივ გორითა
და გამოისმა ზარის ხმა
ლაშარის ჯვარის გორითა.
ცხრა-ათ კუთხიდამ მოდიან
ფშაველ-ხევსურნი რბოლითა...
თითქოს გასწყდენო, ფშაველთა
იტყოდენ აღარ ყოლითა!
არა, ყოფილან კიდევა,
გადაჰრჩომიან რბევასა,
თათრებს უბრალებლობას,
იმათ ხმალ-ხანჯრის ქნევასა.
ფიქრობენ ხოშარელების
სისხლის თათრებზე ზღვევასა.
ივსება ლაშარის გორი
ქორ-შავარდნების ფარითა,
დროშები გზას უკურთხებენ
ჟღერით, აწვდილის ტარითა.
როშკით მოიდენ ხევსურნი:
სუმელჯაურნი ცხრანია,
ამღითა — ბათაკის ძენი,
ჰინჭარაულნი ძმანია,
გუდანელთ ჩამოსძღვალია
ხოშარეული კარია.
ხევსურთ, რო ზვავმა მთისამა,
წინ მაიძღვარეს ქარია;
ქორმეშელთ, ჭიელთ ბიჭებსა
ღულელებიცა სტანია.
ხახმატელთ ცხენთა ფეხის ხმამ
შააზრიალა მთანია,
მგლური დააწყვეს ნაბიჯი,
მოკლედ გადმოვლეს გზანია.
თითოს ხევს არაგვისასა
თან მოსდევს ლაშქრის ღვარია.
ფშავლის შვილებიც მოვიდენ,
სულ-თქმა თან მოჰყვა ჩქარია.
რა საამური დრო არის,
რა საამური წამია!
მოვიდენ აფხუშელები,
მცოდნენი თათრის ზნისაო,
წინათაც უცდავ თათრები,
როს დრო ყოფილა ცდისაო.
ბერი მაუძღვა ლუხუმი,
ლურჯამ მაიღო თქერანი,
პატრონის გულის მცოდნეა
თვალ-მოელვარე ჯერანი.
წითელს ფარს აჯიელავებს
მახინცაური ვერანი.
ძმობამ, რო კარგი ჰყოლია,
არც იმას ჰმტყუვნობს მერანი!..
კლდეთაც-კი ესმისთ, სალს კლდეთა,
მათურელთ გულის ძგერანი...
ცაბაურ გაბიდოურთა
ცხენთაც მაიღეს ტყერანი.
მოგროვდენ ყოველის მხრიდამ
ვაჟები ლომის ფერანი...
დიაცთ-ლა დაჰრჩათ მარტოთა
მატყლის სართავად კერანი.

V

მთაზე დაენთო ცეცხლები,
როგორც ვარსკვლავნი ცაზედა;
თავ-მოხდით სდგანან მხედარნი
თავის ბატონას კარზედა.
ბრჭყვინავენ ალმასივითა
დროშები ცეცხლის ალზედა.
ცივი უბერავს ნიავი,
ლაშქარს ნამს აყრის თავზედა.
მდუმარედ სდგანან, პირ-ქუშად,
სულთქმაც-კი გაიგონება,
მხედართა გულის პასუხი
ერთს ფიქრად შაიკონება:
ხატი რას ურჩევს ლაშქარსა,
რა გამოუვა ბრძანება?
ქადაგი ხატს ეკითხება,
ჩურჩული მოდის საჯარეს.
მხედართ საუბრის გამგონეთ
მუზარადები დახარეს.
მუხლ-მოდრეკილნი ჩამოსხდენ,
პირს ჯვარი დაისახიან,
ციურის კრძალვა-შიშითა
პირები შაიჩმახიან.
აგერ ქადაგიც გამოჩნდა
განაცრებულის სახითა,
შემკრთალი იყო ისიცა
ხატის პირის-პირ ნახვითა.
შემოუძახა ლაშქარსა
ხმით მედიდურით, მკვახითა:
„უამს ჩვენს ლაშარის ჯვარსა,
მის კარს რო შავიყარენით,
ქვეყნის წამწყმედთან საომრად
მალევ რო ავიყარენით.
წინ მომეგება სიცილით,
ბედლის კარს მოდგა მზებურა,
ტანთ ეცვა ლურჯი ბექთარი,
თავზე ჩაჩქანი ეხურა.
დიდია ჩვენი ბატონი,
მადლით ცას სწვდება მთებურა,
თან გვატანს თავის ლოცვასა,
ფრანგული ამეეწურა.
გვიქადის გამარჯვებასა,
წინ წაგვიძღვება თავადა.
ჰნახავთ, ნუ გაგიკვირდებათ,
სიტყვას ნუ ჰკადრებთ ავადა.
გაიგებთ იმის წაძღოლას,
მიჰხვდებით კილა-კავადა.
რო ჰნახოთ, ქება უთხროდით,
სალმით იყვნოდეთ სალადა.
ლურჯს ცხენზე მჯდომი იქნება
წინ მოარული ლალადა“.
— ვენაცვლეთ მაგის დავლათსა,
ღირსნიც არა ვართ ნახვისა.
რად კადრობს ადგილით დაძრვას,
საყმო რად ვყევართ თავისა?
ამოსთქვა სულთქმით ლაშქარმა
ცეცხლ დანთებულმა პირზედა.
— უყვარან ფშაველ-ხევსურნი
დამადგარნი ეროსა პირზედა,

საგან შესდგება. ამ კომისიის თავჯდომარედ დანიშნულია საკასაციო, დეპარტამენტის ობერ-პროკურორი დ. ს. მეშჩანინოვი. კომისია უკვე ჩამოვიდა ტფილისში და ამ დღეებში შეუდგება თავის მინდობილობის ასრულებას.

⁂ ორშაბათს, 3 თებერვალს, საშინელის გრიგალის დროს, ჩურუქსუს სიახლოვეს ზღვის ნაპირზედ გამოირიყა ერთი ნავი. ნავში ექვსი კაცი მჯდარა. ამათში მხოლოდ გამორიყულს ნავს ორი გამოჰყვა, რომელნიც გადარჩნენ. ოთხი-კი ზღვაში დაღუპულ. დარჩენილნი მეგრელებიყ ოფილან.

⁂ ფინანსთა სამინისტრომ აცნობა კავკასიის მთავრობას, რომ რუსეთის სხვა-და-სხვა გუბერნიის მთავრობას ვაუწყეთ, რომ ამიერ კავკასიაში მრავალი სიმინდია გასასყიდიო. ამის გამო ორიოლის ერობის მმართველობას და მოსკოვის მოურავს მოუწადინებიათ ამიერ კავკასიაში სიმინდის ყიდვა.

⁂ კვირას, 9 თებერვალს, დილის 11 საათზედ ტფილისის სობრანიაში დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის I-სა და II გილდის ვაჭრებისა. კრება განიხილავს: 1) 1891 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშს; 2) ქალაქს ტფილისში სავაჭრო და სამანუფაქტურო კომიტეტის დაარსების პროექტს, 3) მოხსენებას ტფილისში საკომერციო სკოლის დაარსების შესახებ და 4) 1892 წლისთვის აირჩევს ვაჭრების თავს და იმის თანეშემწეებს.

⁂ ჩვენ მივიღეთ მეორე ნომერი ჟურნალის „Вѣстникъ Винодѣлія“-სი, რომელიც პეტერბურგში იბეჭდება ბ-ნ ვ. თაიროვის რედაქტორობით. ამ ნომერში დაბეჭდილია წერილები დ—რის გ. გორვატისა ფილოქსერის შესახებ საფრანგეთში, პროფესორის ვიალასი, ენოლოგისა ღვინის გადაღების შესახებ, თვით თაიროვისა ამერიკის ვაზის თაობაზე და პროფ. კოსტიჩევის წერილის განგრძობა: „Ислѣдованіе почвъ изъ виноградниковъ Крыма и Кавказа“. მეორე ნომერში ავტორს გათავებული აქვს გამოკვლევა ყირიმის ვენახების ნიადაგისა და შემდეგისთვის ჰპირდება მკითხველებს, რომ კავსასიის ვენახების ნიადაგსაც გამოვიკვლევო.

⁂ იმავე ჟურნალში მოხსენებულია, ახალ ამბავთა შორის, რომ წელს კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა მოითხოვა ფილოქსერასთან საბრძოლველად მთავრობისაგან 97.905 მან., ხოლო სულ ყველა სხვა საფილოქსერო დაწესებულებას ერთად მოუთხოვნიათ 203,888 მან.

⁂ იგივე ჟურნალი ამბობს, რომ ამ ორ-სამს წელიწადში გაიმართება კიშინიოვის ქალაქში, რომელიც ბესარაბიაშია, შუათანა სამრეწველო სასწავლებელი ღვინის მოვლისა და მევენახობისაო. სახლი უკვე შენდება. ამ სახლისათვის გადადებულია 146,411 მან. ჟურნალი დასძენს ამ ამბავს, რომ სასურველია ყველგან, საცა-კი ღვინის მოსავალი იცის, მეტადრე კავკასიაში, მალე გაიმართებოდეს ამისთანავე, ან ცოტა ამაზე დაბალი სასწავლებელი მაინც ვენახის მოვლისა და ღვინის კეთებისაო.

⁂ ბათუმი: გრიგალის დროს გემები ზღვაში შევიდნენ. ზღვის ტალღებმა მოიტაცა ცხრა ბარკა; ამათში 4 დატვირთული იყო ნავთით და ხუთი სოდით. ამას გარდა, ზღვამ მოიტაცა ნავსადგურიდგან შვიდი ნავი, რომელიც დაიღუპა შიგ მსხდომ მენავეებით. დაირჩო ცამეტამდე კაცი.

⁂ 6 თებერვალს, ღამის ოთხს საათზე, კრუზენშტერნის ქუჩაზე ავეტისა მატოსიანცის პურის საცხობში ცეცხლი გაჩნდა და დაიწვა დუქნის ჭერი.

⁂ ამავე დღეს პრაპორშჩიკის ნ—ნის 10 წლის შვილი წაეჩხუბა შუშის მცხოვრებლის ქაფარ ოღლის 11 წლის ბავშვს და მსუბუქად დასჭრა მარცხენა ხელში.

მთავრობის განკარგულებანი

გადაყვანილ იქმნა არტილერიის 39 ბრიგადის პორუჩიკი ხუციშვილი სევასტოპოლის ციხის არტილერიაში.

წერილი ქუთაისიდან

მესამე რიგის ხმოსანთა არჩევანები

(4 თებერვალი)

დილის ცხრა საათიდგან დაიწყო ხალხმა დენა ხარაზოვის თეატრთან, მაგრამ დარბაზში-კი არავის უშვებდნენ: გამოაცხადეს, ჯერ დერეფანში შედით, ჩაეწერეთ, ვინც ამომრჩევლები ხართ, და იქ მიიღებთ კრებაზე შესასვლელს ბილეთსაო. ეს ამბავი ერთბაშად მოედო დუქან-ბაზარს და ყველა ფაცი-ფუცს შეუდგა თავის დასის ხალხის შესაკრებად. სამი მოხელე გამგეობისა სწერენ სახელსა და გვარ ამომრჩეველებისას და ბილეთებს აძლევენ.

სრულს 12 საათზე ქალაქის მოურავმა გამოაცხადა, კრება დაიწყოვო და ამომრჩევლებს შემდეგი უთხრა: „ჩემდა მონიჭებულის უფლების ძალით ვაცხადებ, რომ გარდა უკვე ჩაწერილ ამომრჩევლებისა, სხვებს აღარ შემოვუშვებ კრებაზე; ვინც დაიგვიანა ჩავერა, იმათ ჩავწერთ და კენჭსაც მივცემ მხოლოდ ბოლოს. ამას საჭიროდ ვრაცხ წესიერების დასაცველად. 16-ისა და 17-იანვარს არჩევანების დროს მომხდარმა უწესოებამ მაიძულა კრება დამეშალა. მოვახსენე რა იმ უწესოებათა შესახებ, გუბერნიის საქალაქო საქმეთათვის დაარსებულმა საკრებულომ უარჰყო იგი არჩევანები სრულიად. ღმერთმა ნუ ქმნას, რომ იმავე ღონის ძიების ხმარება კიდევ მოგვიხდეს. რა უწესოებაც იყო ის უწესოება, ეს ყველას მოგეხსენებათ და იმის შესახებ აღარას ვიტყვი. უარჰყო-რა „საკრებულომ“ არჩევანები 16 და 17 იანვრისა, წინადადება მომცა, ახალი არჩევანები მომეხდინა და აი ამისთვის მოგიწვიეთ დღეს... გთხოვთ უწესოება არა მოახდინოთ-რა. დაბრძანდით...

დღეს გამოცხადდა 319 ამომრჩეველი, წარუდგინეს 90 რწმუნების ქაღალდიც, ასე რომ სულ 409 ხმა შესდგა.

ქალაქის მოურავმა წაიკითხა სათანადო ადგილი საქალაქო დებულებისა და კრებას სთხოვა რამდენისამე მათ მიერ განსახილველის საგნის გარდაწყვეტა.

ქალაქის მოურავი. პეტრე ჭედია, თუმცა ჩაწერილია ამომრჩეველთა სიაში, მაგრამ, რადგანაც იმისი მამული იმის სიძეს ჩაჰბარდა, კანონის ძალით, ამომრჩევლობისა და არჩევის უფლება უნდა ჩამოერთვას და რომ საჩივარის დასაწყებად მიზეზი აღარა დარჩეს-რა, სიიდგან უნდა ამოიშალოს.

პეტრე ჭედია. ჩემი მამული გარდავეცი სიძეს დასაგირავებლად და არ-კი მიმიყიდნია. ეხლაც ისევ მე ვცხოვრობ ჩემს სახლში.

კალისტრატე ჩიკვაიძე აცხადებს: საშიშოა, შეიძლება ჭედიას უკვე დამტკიცებულის სიიდგან ამოშლა მიზეზად შეიქმნეს საჩივრებისაო. თუ ჭედიას უფლება არა ჰქონდა ამომრჩევლობისა, არც სიაში უნდა ჩაგვეწერათო.

ქალაქის მოურავი. სახლში რომ სცხოვრობს, ეგ იმას როდი ნიშნავს, ვითომ სახლი ჭედიასი იყოს.

ყვირიან: „სიიდგან ამოშალეთ!“, „დასტოვეთ!“

დავით ძაქაშვილი. აღნიშნულია თუ არა წიგნებში, რომ ჭედიას მამული სხვამ შეიძინა?

ქალაქის მოურავი. უფროსმა ნოტარიუსმა შეგვატყობინა, რომ მამული სხვას გარდასცემია.

ყვირიან: „ამოშალეთ!“, „დასტოვეთ!“

თავ. მერაბ ღორთქიფანიძე. რაკი მამული სხვას გადასცემია და ქალაქის მოურავი აცხადებს, უკანონობა იქნება, რომ იმან მონაწილეობა მიიღოს არჩევანებშიო, ეჭვი არ არის, უნდა ამოიშალოს სიიდგად. აქ განა საკამათო რა არის!

ხმაურობა ისმის და კაცს ვერაფერი გაურჩევია. კალისტრატე ჩიკვაიძე თხოულობს, კენჭის ყრით გადავსწყვიტოთ ეს საგანი, რადგან არ ვიცით, უმეტესობას რა ჰსურსო.

ქალაქის მოურავი. „მე ჩემის უფლებით ამოვშლი ბ-ნს ჭედიას სიიდგან!“ (მიუბრუნდება ჭედიას) „მიბრძანდით!“

სთხოვენ, ოქმში ჩასწერეთ ეს საგანიო. ჩავწერო, ამბობს ქალაქის მოურავი. „მიბრძანდით!“-ო კვლავ ეუბნება ჭედიას და ისიც მიდის.

ქალაქის მოურავი. 16 იანვარს კრებამ განიხილა, კანონიერია თუ არა ის რწმუნების ქაღალდი, რომელიც ბ-ს პლატონ ჩხეიძეს მისცა თავისს ცოლის-დამაო. მიუხედავად ჩემის წინააღმდეგობისა ამ საგანზე, ყველამ მოისურვა, რომ ის რწმუნების ქაღალდი კანონიერად ცნობილიყო. მაგრამ „საკრებულომ“ უარჰყო რა 16 და 17 იანვრის არჩევანები, ამასთანავე ის რწმუნების ქაღალდიც უკანონოდ დასახა. ამიტომ პლატონ ჩხეიძე ამოიშალა ამომრჩეველთა სიიდგან. ამას გარდა, ალექსანდრე აბდუშელიშვილმა, რომელიც მეორე რიგის ხმოსანთა არჩევანებში მონაწილეობას იღებდა და რომელმაც იმავე რიგის ზოგ ხმოსანთა ხელმეორედ არჩევანების დროს რწმუნების ქაღალდი სხვას მისცა, წარმოადგინა ეხლა რწმუნების ქაღალდი, რომ ამ კრებაზედაც მონაწილეობა მიიღოს, რაიცა უკანონობაა.

ყვირიან, ამოშალეთ სიიდგანაო.

ქალაქის მოურავი. ბესარიონ რუსაძე, გვაზავა და ბოკუჩავა, რომელთაც რწმუნების ქაღალდები წარმოადგინეს, სიაში არ არიან აღნიშნულნი და ამიტომ უნდა გამოირიცხნენ.

ამათ კენჭის ყრაში მონაწილეობის უფლება არ მისცეს.

კალისტრატე ჩიკვაიძე. საქალაქო დებულების 30 მუხლის ძალით კრებას ნება აქვს 2—6 კაცი თანაშემწე დაუნიშნოს ქალაქის მოურავს.

ქალაქის მოურავი. მეც ეხლა ეგ მინდოდა მეთქვა... გთხოვთ დაასახელოთ, ვინცა გსურთ ამოირჩიოთ, და, თუ დახმარება დამჭირდა, მე მაშინ მოვიწვევ, ეხლა-კი მარტო დაასახელეთ, ვინც გინდათ.

დაასახელეს: კალისტრატე ჩიკვაიძე, კონსტ. ქორქაშვილი, დავით მიქიაშვილი, იოსებ მურადოვი და რამდენიმე სხვაც, მაგრამ ქალაქის მოურავმა განაცხადა, მაგათზე მეტი საჭირო არ არისო.

ქალაქის მოურავი. გთხოვთ, დაბრძანდეთ. ხმოსნობის კანდიდატების დასახელება სხვა-და-სხვა ნაირად შეიძლება: სიტყვიერად, ბარათებით და ისეც, როგორც 16 იანვარს კრების დროს მე გირჩიეთ დასახელება კანდიდატებისა, ე. ი. დაინიშნოს კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს იმათი სია, თუ ვის უნდა ვუყაროთ სახმოსნოდ კენჭი.

უთხრა პასუხად ქადაგმა,
მდგომმა საჯარის თხრილზედა.
ლომი საომრად მზადდება,
კბილს აიჩქამებს კბილზედა.

VI

სამლთო ქნეს ფშაველ-ხევსურთა,
დაკლეს ხარი და ცხვარია.
ჩამოსხდენ ბეღელს, საჯარეს,
გარს შემოერტყა ჯარია.
ყველას თან უდგა საგზაო,
საჩქაროდ ნადუღარია.
ადიდეს ლაშარის ჯვარი,
თამარის ნაჩუქარია;
ადიდეს დიდი თამარი,
ის ღმერთთან წილ-ნაყარია,—
თავის ოფლით და ამაგით
ხმელეთი დაუფარია.
მოიხსენიეს მხედარნი,
ვინც ველზე დარჩა მკვდარია,
არსადა მათთვის სამარე
და მიწა ზედ—საფარია.
ყორნებს რო უთხრავ თვალები,
სვავთ მხრებით დაუფარია,
მაგრამ იმათი სახელი
დროთ სვლას ვერ მოუპარია.
ხევისბერობს ბერი ლუხუმი,
ხმა ტკბილად მოუბარია.
გმირთა ქებით და დიდებით
გული ვერ მოუფხანია;

VII

ყველა პურსა სჭამს, საუბრობს
ავსა თუ კარგსა მქუხარედ.
მარტო კვირია არას სჭამს,
სდგას ჯოხ-დაყრდნობით, მდუმარედ.
ჩასჩერებოდა მიწასა
ყელ-გადაგდებით, მჭმუნვარედ.
რას ფიქრობს ობოლ კვირია,
ამის გამგები ვინ არი?
არა მელავნდება გულიდამ
ფიქრები ამომდინარი.
— ობოლ კვირიავ, ძმობილო,
პურა შაჭამე ბატარა,
იქნებ შაგცივდა, ობოლო,
არაყათ შაჰსომ რად არა.
ჰა, ვაჟო, ცოტანი შასვენ,
აჰა, დაიჰი მათარა.
დღეს თუ რას შავსჭამთ, თორო ხვალ
ვისლა სცალიან საჭმელად,
ერთურთის საპატიჯოდა,
ტკბილის სიტყვების სათქმელად?
ამას ეტყოდნენ მხედარნი
კვირიას მუდარებითა.
ახლა კვირიამ მიუგო
ოხვრით და მწუხარებითა:
— არა, კვირია გენაცვლოსთ,
სასმელს არ დავეკარები.
საჭმელსა, თუ-კი მშიოდეს,
აროდეს დავეზარები.
წელანის ხალი*) შავსჭამე,
გუდაშიც მიძე მრავალი.
თუ ვის გინდა რისთ მიირთვით,
თუ ვის გაკლიათ საგძალი.
— იქნება ცუდ სიზმარ ჰნახე,
გულზე დაგაწვა ისაო.
შაჰკითხა ბერმა ლუხუმმა,
ვადა უტაცა ხმლისაო.
რა ჰნახე, ჩემო კვირიავ,
აგრემც მიტირებ ბერასა,
გვითხარ და ნუ დაგვიმალავ,
ლუხუმი მოხდის წერასა.

კვირია

რა გაიგება სიზმრისა,
მე მაინც გეტყვით ვერასა.

ლუხუმი

თუ არ გვიამბობ, კვირიავ,
ჩამოგყრით დროშის ჭერასა,
სიზმრის დამალვა გირჩევნავ
ამდენის ხალხის წყენასა?!
სთქვი წუხანდელი სიზმარი,
მითომ-კი ჰხმარობ ენასა,
საპოხი უნდა, ობოლო,
მხედართა გულის კპენასა.

კვირია

გიამბობთ, თუ გიამებათ,
მე რაცა ვნახე, ეს არი:
დღე იყო მეტად მრისხანე,
ცა მოღრუბლვილი, მჭეხარი,
მივდივარ ტრიალს მინდორზე
თავ-მამწონარი მხედარი.
შავს ცხენზე ვიჯე, მიჰქროდა,
მეგონა, ვზივარ ქარზედა.
სამი დაენთო სანთელი
ჩემის ფრანგულის ტარზედა.
შუქი ციური ჯვარადა
გამომესახა ფარზედა.
მინდორი იყო ტრიალი,
არარაი ჩნდა მაზედა.
ყოილი, ხშირი ყოილი
დაფენილიყო გზაზედა.
გავხედე, მინდვრად მოცურავს
შავი ვეშაპი შქენითა.
ყოილთან მიწას მაჰლოკდა
ცეცხლის მსროლელის ენითა.
პირითაც ცეცხლი სდიოდა,
საზარელ იყო მეტადა.
მნახა, გულ-ზვავად მომმართა,
უნდოდი დასაკვნეტადა.
პირი დააღო ვეება,
ჩასაყლაპავად მიტია,
მაგრამ ხმლითა ვეც, გაუპე
თავი, როგორაც ფიტია.
მოკლულმა შემომანთხია
ბოროტი სისხლი პირზედა.
ცხენი წამექცა, თვითონაც
მიწას დავეცი ძირზედა.
გონი წამსვლიყო... გონთ მოვედ,
მეოცა სახილებელი:
ქვეშ მეგო თეთრი ლოგინი,
ტკბილადა საძინებელი,
გვერდს ეგდო ჩემივე ცხენი,
ცრემლითა სატირებელი.
თავს მედგა დიდი ჭანდარი,
სიცხეში საჩრდილობელი,
ზედ იჯდა ბერი ქედანი,
დამღუღუნებდა თავზედა,
მზეც ამობრწყინდა... მეჩვენა,
მნახა, გაბრუნდა წამზედა,
წითლად გაწირა ხოლოდა
ობოლი სხივი მთაზედა.
გაბრუნდა, თვალთ დამიბნელდა
და მიმეძინა მკლავზედა.
რა დაასრულა კვირიამ,
ჩაიკასკასა ტკბილადა.
ეწყინა ლუხუმს სიზმარი,
ცრემლები მოსდის წყვილადა
— კეთილად ახდეს, მაინც სთქვა
გულ-აყუჩებით, რბილადა.

ვაჟა-ფშაველა

(შემდეგი იქნება)

---

*) ქუმელი.

ყვირიან: „ბარათები!" „კომისია!"

ქალაქის მოურავი. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ამისთანა დიდს კრებაზე ბარათებით დასახელება კანდიდატებისა მოუხერხებელია. ბევრმა წერა არ იცის. ბევრი ისე სწერს, რომ ბარათის წაკითხვა შეუძლებელია; ზოგს ბარათში გარდაცვალებული იყო დასახელებული კანდიდატად და ზოგშიც ისეთი კაცები, რომლებსაც არავინ არ იცნობს. ერთს ბარათში ერთი სულით ავადმყოფი კაცი იყო აღნიშნული, რომელიც საგიჟეთში უნდა იქმნას გაგზავნილი და არა ხმოსნად არჩეული. მე ისევ იმას გირჩევთ, რომ კომისია დანიშნოთ. კომისია რომ სიას შეადგენს, თქვენ წაგიკითხავენ და შეგიძლიანთ მიუმატოთ კიდევ კანდიდატები, თუ ვისმე მოისურვებთ.

პატარა ჩოჩქოლი შეიქმნა. ზოგი ბარათებით არჩევას თხოულობს კანდიდატებისას, ზოგი ამბობს, 16 იანვრის სიას დავსჯერდეთო, ზოგიც კიდევ კომისიასა რჩეობს. ქალაქის მოურავმა მოითხოვა კენჭის ყრით გადაწყვეტა ამ საგნისა, და, როცა ყუთები დადგეს, კრება მაშინვე დასთანხმდა კომისიის არჩევაზე. აირჩიეს: სიმონ აბულაძე, კალისტრატე ჩიკვაიძე, დავით მიქაშვილი, მერაბ ლორთქიფანიძე და დიმიტრი ნაზაროვი.

მოშე რაყანაშვილი. გთხოვთ კომისიაში ერთ-ერთი ებრაელთაგანიც აირჩიოთ.

კრებამ აირჩია ელო კაკეტელაშვილი.

12 საათსა და 40 წუთზე ქალაქის მოურავმა ერთის საათით შესწყვიტა კრება. ამ დროს კომისიამ სია შეადგინა, რომელიც, დაიწყო თუ არა კრება, ქალაქის მოურავმა მაშინვე წაიკითხა. დასახელებული იყო 65 კაცი, რომელთა გვარებსაც არჩევანის კვალობაზე შეგატყობინებთ.

კალისტრატე ჩიკვაიძე. გთხოვთ ჩასწეროთ ბუხგალტერი საადგილ-მამულო ბანკისა ონისიმე სვანიძე, რომელიც ხელობით—ბუხგალტერიის ცოდნით—სასარგებლო კაცია და მგონი აირჩევენ კიდეც.

ქალაქის მოურავმა ჩასწერა სიაში ბ-ნი სვანიძეც.

ქალაქის მოურავი. რადგანაც ამ შენობის პატრონთან პირობა ისე გვაქვს მიცემული, რომ 3 საათზე დავუცალოთ დარბაზი და მანამდენ-კი ერთის კანდიდატისთვინაც ვერ მოვასწრობთ კენჭის ყრას, ამიტომ კენჭის ყრა სახვალიოდ გადამიდვია. გთხოვთ დილის 10 საათზე მობრძანდეთ. დღეს მოცემული ბილეთები შეინახეთ. მე აქ დილის 9 საათზე ვიქნები. ვინც არ ჩაწერილა და ხვალ გამოცხადდება, დილითვე უნდა ჩაეწეროს გამოცხადებულთა სიაში. კენჭის ყრა ალფაბეტის კვალობაზე მოხდებაო.

ნაშუადღევის 2 საათზე ხალხი დაიშალა: კრებამ მშვიდობიანად ჩაიარა. პირველად ცოტაოდენი რამ უწესოება მოხდა იმის გამო, რომ დაგვიანებულები მოდიოდნენ და კარებს აბრახუნებდნენ. მაგრამ ქალაქის მოურავმა პოლიციელები დააყენა კარებში და უბრძანა, რომ აღარავინ შემოეშვათ.

ი. ჩ.

◆

დაბა ჲ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. საჭილავო. სოფელი საჭილავო იმყოფება სენაკის მაზრაში, სამეგრელოს განაპირას, მდინარე ცხენის წყლის ორსავე ნაპირას, და ამის გამო ეს სოფელი ორ საზოგადოებად არის გაყოფილი. მარნის საზოგადოება დასავლეთისკენ და ილორისა აღმოსავლეთისკენ. ორსავე საზოგადოებაში ირიცხება 1500 კომლამდე მცხოვრებელი, რომელთ შორის მრავალნი არიან აზნაურნიც, უმრავლესობა-კი გლეხობაა. სოფელი საჭილავო ორ საზოგადოებად არ გაიყოფებოდა, რომ გეოგრაფიული გარემოება ხელს არ უწყობდეს მისს განაწილებას. მდინარე ცხენის წყალი ამ სოფელს ორ საზოგადოებად ჰყოფს, აშორებს ერთი მეორეს და მკვიდრთა ერთობასა და ძმობა-ამხანაგობას ხელს უშლის. ამისდა მიუხედავად, გაღმა და გამოღმა მცხოვრებთ ძლიერ დაახლოვებული კავშირი აქვთ ერთმანეთთან ნათესაობით და უძრავის საცხოვრებლით. ბევრს გაღმელს გამოღმა აქვს მამული და გამოღმელს გაღმა. ერთი ძმა რომ გაღმა სახლობს, მეორე გამოღმაა და ერთმანეთს რიგისამებრ ვერ ეხმარებიან. დიაღ, ცხენის წყალი ჰყოფს ამ ერთს ოჯახს ორად და მეზობლობასაც უძნელებს ამათ ხიდის უქონლობის გამო. აქაურნი მცხოვრებნი ყველა იმერლობაა და, თუ ეს სოფელი სამეგრელოს წრეში შესულა, ეს იმიტომ, რომ სამეგრელოს მთავრის უფლებაში ყოფილა. უწინ-კი იმერეთის მეფის სამფლობელოს შეადგენდა.

საჭილავოში მოსავალი უხვი იცის, თუმცა მიწის შემუშავება ძველებურად, მამა-პაპურად იციან. კარგი მოდის: სიმინდი, პური, ღომი, ფეტვი, ლობიო, ბამბა, თუთუნი და სხვა... ვენახი და მისი წვენი დიდი ხანია აქაურებს არა სწყალობს და არც ჰფიქრობენ მისს გამობრუნებას. საჭილავოში, როგორც ზემოდ ვსთქვით, 1500 კომლი კარგად შეძლებული მცხოვრებელია და ნუ თუ საძნელოა ამდენის შეძლებულის ოჯახისათვის ერთი სამეურნეო სასწავლებლის დაარსება თავიანთს სოფელში თავიანთის მერმისის გასაუმჯობესებლად და სადღეგრძელოდ? სადაც ერთმა ღვთისნიერმა კაცმა ილია წინამძღვარიშვილმა-კი შესძლო დაარსება თავის სოფელში საკუთარის ხარჯით სამაგალითო სამეურნეო სასწავლებლისა, ნუ თუ მთელის საზოგადოებისათვის ძნელია იმ გვარის სასწავლებელის დაარსება? წინამძღვარიანთ სასწავლებელი გვეგულება და ვგზავნით იქ ჩვენს შვილებს და ძმებს, იქაც სიამოვნებით იბარებენ ბავშვებს, მაგრამ დაიტევს-კი ის ერთი სასწავლებელი ყველას? რატომ არა ვფიქრობთ ამაზე, რატომ არ შევეჭიდებით ჩვენს საჭიროებას და იმისთანავე სასწავლებლებს რატომ არ გავამრავლებთ? რა გვიშლის ამ კეთილ საქმის დაწყებას? უფულობა, თუ უგულობა? უფრო უგულობა გვიშლის ხელს, თორემ თუ ერთმა კაცმა-კი მოახერხა, მთელს საზოგადოებას როგორ გაუჭირდება?

საჭილავოში დიდი ხანია აზრად ტრიალებს სამეურნეო სასწავლებლის დაარსება, მაგრამ აზრი აზრადვე დარჩა და საქმე მიყუჩდა. აქ ორი დირექციის სკოლაა, სადაც რიგიანად მიჰყავთ სწავლის საქმე: ერთი მარანში ორ-კლასიანი და მეორე ილორში ერთ-კლასიანი. თუ მართლა საკუთარ სამეურნეო სასწავლებლის დაარსება მეტად სამძიმოა, მაშინ არ იქნება ურიგო, ეს ორი სამინისტროს სკოლა ერთად შეაერთონ და ერთი სამეურნეო განყოფილებაც მიუმატონ. მაშინ ერთს შენობაში მშვენიერი სასწავლებელი იქნება, სადაც შეგირდები გონებითაც განვითარდებიან და მეურნეობის ნაწილსაც შეისწავლიან. უნდა შეერთდეს ორივე საზოგადოება ერთად და-ძმურად და ამხანაგურად უნდა იმოქმედოს.

მაშინ ცხენის წყალზე უხიდობა გააჭირვებს საქმეს და საკუთარის ხიდის გაკეთება სამძიმო საქმეა. ამის გამო კარგი იქნება, რომ მთელმა საზოგადოებამ სთხოვოს რკინის გზის მმართველობას გაგანიერება ცხენისწყალზე რკინის გზის ხიდისა, ისე როგორც მცხეთის ხიდია. რკინის გზის მმართველობა, უეჭველია, მიაქცევს იმათს თხოვნას ყურადღებას და ხიდს გააგანიერებს, ხიდის გაგანიერებით რკინის გზასაც დიდი სარგებლობა ექნება, რადგან რაც გაღმა საჭილავოში სიმინდი მოდის, მდინარით აღარ გაიგზავნება ფოთში, სამტრედიას მოაწევება და რკინის გზით წავა. ამ თხოვნას მით უფრო შეიწყნარებენ, რომ ფოთის გზაზე მატარებელს ხშირი მიმოსვლა არა აქვს, დღეში სულ ორი-სამი მატარებელი მიდი-მოდის და, რასაკვირველია, არც არავითარი მარცხი მოხდება ხიდზე მცხოვრებთ გასვლა-გამოსვლით. საჭილაველებმა ხიდის გასაგანიერებლად ცოტაოდენი შემწეობაც რომ აღმოუჩინონ რკინის გზის მმართველობას, არც მაშინ იქნებიან ზარალში.

დრო არის გამოფხიზლებისა, კმარა ამდენი ძილი, კმარა ამდენი ქეიფი და დროს ტარება დღეობებში, ფერიცვალებას და გიორგობას. რაც ამ ორს დღეს ფულები დაიხარჯება, ის კარგად ეყოფა ერთს სამეურნეო სასწავლებელს. ამ ორს დღეობას ყველაზე უღარიბესი ოჯახი, სულ უკანასკნელი რომ ვსთქვათ, ერთის თუმნით ვერ გამოვა ხარჯში და ბევრი-კი ათს თუმანსაც ჰხარჯავს. გარდა ამისა, დროა ის დახავსებული და ძველის-ძველი ჩვეულება მოისპოს, ზარით წასვლა რომ იციან მიცვალებულის სატირლად და უთავბოლო ხარჯით იღუპება ხალხი. დრო არის, რომ ამდენი უსარგებლო და უზომო ხარჯი თავიდგან მოვიშოროთ და იმის ნაცვლად, თუ რამე გვაქვს, კეთილს საქმეს მოვახმაროთ. დღეს ჩვენში არავინ იცის არც ბაღოსნობა, არც აბრეშუმის მოყვანა, არც ვენახის კეთება და სხვა. შევიძინოთ სწავლა და დღეს თუ ერთი მანეთის ღირებულს სარგებლობას გვაძლევს მიწის რომელიმე ნაწყვეტი, ადვილად შესაძლებელია, ხვალ ათი და ოცი მანეთი მოგვცეს. ვისწავლოთ მეურნეობა და მოვიყვანოთ ჩვენს მამულში ღვინო. შეიძლება იფიქროთ, რომ საჭილავოში ღვინო არ მოვაო. ეს ტყუილია: სწავლა და ცოდნა არა გვაქვს, თორემ ყოველიფერი ბევრი მოვა ჩვენს მამულში.

კარგი იქნება, რომ ამ საქმის თაოსნობას და გაძღოლას იკისრებდნენ ადგილობრივი კეთილშობილნი. მაშინ იმედია ორივე საზოგადოება ერთად შეერთდება და დიდის სიამოვნებით შეუდგებიან საქმის გაკეთებას. ამ საქმეში ადგილობრივმა მღვდლებმაც უნდა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა და უნდა ჩააგონონ თავიანთს მრევლს, რომ აუცილებლად საჭიროა სწავლა და განსაკუთრებით სამეურნეო. მაგრამ ზოგიერთი ამათგანი გაიძახის, რომ მეტი სასწავლებელი საჭირო არ არის და ეხლანდელი დირექციის სკოლაც მეტია და ყოვლად უვარგისიო; ჩვენს სამრევლო სკოლაში ჰგზავნეთ ყველამ შვილები, თუ გნებავთ, რომ ბავშვებმა რიგიანი სწავლა შეიძინონო. სამწუხაროდ, იმათს დარიგებას ბევრი ისმენს, დირექციის სკოლიდგან გამოჰყავთ შვილები და სამრევლო სკოლაში აბარებენ და ფულსაც უმეტესს იხდიან. კიდევ არაფერს არ ვიტყოდით, რომ სამრევლო სკოლაში მღვდლები თვითონ ასწავლიდნენ ბავშვებს და სწავლა მართლა რიგიანად მიჰყავდეთ, მაგრამ გამოუცდელსა და უსწავლელს დიაკვნებს აქვთ ხელში ჩაგდებული.

ვ. მასხულია

◆

მთავარ-ეპისკოპოსნი (318—488) საქართველოს ეკლესიისა.

1. **იოანე** (318—325.) იყო ნათესავით ბერძენი, წარმოგზავნილი კონსტანტინე დიდისაგან, თხოვნისა გამო მირიან მეფისა 1), ორის მღვდლით და სამის დიაკონით; თან მოასვენა ჯვარი, ოქროთი შეჭედილი, თვალმარგალიტითა მკული და ხატი მაცხოვრისა, რომელიც დაცულია დღედმდე ალავერდის ტაძარში. მოუტანა მირიანს წერილი კონსტანტინე დიდისა 2). გზად მომავალმა იოანემ ააშენა ერუშეთის ტაძარი გუმბათიანი, რომელიც დღესაც მრთლადა სდგას 3) და მასში დაასვენა ჯვარი და სამსჭვალნი უფლისა. აქედან წამოსულმა ააშენა მშვენიერი მანგლისის ტაძარი. მცხეთაში მოსრულმა ნათელ ჰსცა მირიანს და ქართველთა. ნიკიის კრებამ 325 წ. იოანე დაადგინა ანტიოქიის პატრიარქად. და საქართველოს ეკლესიაც ხომ მაგ საპატრიარქოს მიათვალა. (იხ. საქ. სამოთ. 25,97 გვ.)

2. **იაკობ.** (326.—364.) წმ. ნინოს დროს ესე იაკობ იყო მღვდლად და ნათელ ჰსცა კახელთა. იხ. Ист. Груз. цер. Сабин. 51 გვ. იოანეს შემდეგ იაკობ იქმნა ეპისკოპოსად მცხეთისა ნინოს თხოვნისამებრ. იხ. ქართლ. მოქც. 20 გვ. ამის დროს ბაკურმა აღაშენა წილკნის ტაძარი (354 წ.) ქ. მოქც. 23 გვ.

3. **იობი.** (360—394). იყო ნათესავით სომეხი, მოწაფე და დიაკონი წმ. ნერსესისა. (იქვე 53 გვ.) გრიგოლ განმანათლებელის შვილი ვარდანესი, ფაუსტ ვიზანტიელის სიტყვით, იყო ეპისკოპოსად იბერიისა და აღოვანისა (ალვანისა); წმ. ნერსესის მოთხრობით, ამყარებს საეპისკოპოსო კათედრებს ქართლ-კახეთში. იხ. საქ. ისტ. ბაქრაძისა 145 გვ. ამის დროს აღშენდა ნეკრესის ტაძარი და რუსთავისა თრდატ (მირდატ) მეფისაგან. ქ. მოქც. 23 გვ. *)

4. **ელია.** (396—407). ამის დროს აღშენდა ბოლნისის საეპისკოპოსო ტაძარი. „ქართ. მოქც". 26 გვ. და სპარსთა შიშისათვის არმაზის საკერპონიცა.

5. **სიმეონ.** (408—412). სპარსთა დაიპყრეს ქართლი, განყვნეს ეკკლესიანი და ტყვედ შეპყრობილი მეფე თრდატი (მირდატი) წარიყვანეს ბაღდადს და მოკლეს. ამ დროს სიმეონი იმყოფებოდა „ხევსა კახეთისასა მეფისა ნათესავთა თანა". ქართ. ცხ. 107 გვ.

6. **იონანა** 415. ქართ. მოქცევით (იხ. 27 გვ.) ამა იონას დროს აღაშენა არჩილ მეფემ წმ. სტეფანეს ეკკლესია მცხეთაში, არაგვის პირზე. „მაშინ დაეცა ქვემო ეკკლესია და იონა მიიცვალა გარეუბნისა ეკკლესიასა (სამთავრო?) და სვეტი იგი ცხოველი თანა წარმოიღო" (იხ. იქვე).

პ. ცხვილოელი

◆

რუსეთი

აწინდელი ჲ შესაძლებელი ურთიერთობა რუსეთის მრეწველობისა მსოფლიო წარმოებასთან. ამ საგანის შესახებ გამოჩენილმა ქიმიკოსმა, პროფესორმა მენდელეევმა ლექცია წაიკითხა პეტერბურგში 29 იანვარს და შემოსავალი ლექციისა დამშეულთა სასარგებლოდ გადასდო.

— როგორც ბუნების მეტყველიო—სთქვა ლექტორმა: მე უნდა აღვიჭურვო, რაც შეიძლება, უტყუარის ციფირებით, მაგრამ სამრეწველო წარმოების შესახებ უტყუარის, ნამდვილის ციფირების შეკრება მეტად ძნელია; შეცდომა ძლიერ ადვილი შესაძლებელია. ამიტომ იძულებული ვარ მხოლოდ საზოგადო ციფირებით წავიდე იოლად. მაგრამ ამ გარემოებამ არ უნდა შეგვაშინოს, რადგან ჩვენ მხოლოდ დაახლოვებით გვინდა შევასწავლოთ მსოფლიო წარმოების რაოდენობა და მასთან შედარებით რუსეთის მრეწველობის რაოდენობაც. ის გარემოება, რამაც აქ შეგვყარა ე. ი. სიმშილი მხოლოდ მაშინ შეიქმნება მნიშვნელოვან საგნად, როდესაც ცნობებით აღჭურვილნი განვიხილავთ და გავსინჯავთ ამ საგანსა. ჩვენც სწორედ ამითი შევუდგებით საქმეს; სიტყვიერად აღწერას ესა სჯობია.

ინგლისში, რომელსაც სამართლიანად სამაგალითო ქვეყანას ეძახიან, წელიწადში 100—150 მილიონი ფუთი პური მოდის, ხოლო მცხოვრებთა რიცხვი 38 მილიონია, ასე რომ საშუალოდ კაცის თავზე 4 ფუთი პური მოდის, ე. ი. მხოლოდ ორი მეხუთედი იმისი, რაც მათთვის საჭიროა. ამ სახით ინგლისში ნიადაგ მოსავალი ნაკლებია, ხოლო ერთს დროს სხვა ქვეყნებშიაც-კი მიჰქონდათ გასაყიდად თავიანთი პური ინგლისელებს. მაგრამ, როგორც ვიცით, ინგლისელებს ეს პურის ნაკლებლობა არ აშინებს და ვერც გაჭირვებაში როდისმე აგდებს. რუსეთში 110 მილიონი მცხოვრებია და ყოველ წლივ მოჰყავთ 1,100 მილიონი ფუთი შავი პური და 400 მილიონი ფუთიც პური—ხორბალი, ასე რომ კაცის თავზე მოდის $12^1/_3$ ფუთი. თუმცა უტყუარი ციფირები არა გვაქვს მთელის იმპერიის შესახებ, მაგრამ 50 გუბერნია ევროპის რუსე-

---

1) იხ. საქ. სამოთხ. 87 გვ. ანუ ჩვენს „საქართველოს ეკლესიის ისტორიის მიმოხილვაში".

2) კონსტანტინესი ორი წერილი გვაქვს; პირველი იხ. საქართ. სამოთხეში 95 გვ. და მეორე ვახუშტ. ისტ. 67 გვ. 1885 წ.

3) იხ. ვახუშტ. გეოგრ. 104 გვ.

*). ხოლო ქ. ცხოვრებით (102 გ.) ამ დროს აღშენდნენ ტაძარნი—თუხარისისა (ციხესა შინა), ერუშეთისა და წუნდისა.

თისა და 10 გუბერნიაც პოლშისა კარგადაა ამ მხრივ გამოკვლეული, საერთო რიცხვიც მცხოვრებთა ცნობილია და ამიტომ ქვემოხსენებულს ცნობებს შეიძლება ვენდოთ.

1891 წელს ხსენებულს 60 გუბერნიაში საშუალო მოსავალის—1000 მილიონის მაგიერ მოვიდა 800—850 მილიონი ფუთი, ე. ი. $8\frac{1}{3}$ ფუთი კაცის თავზე, საშუალოზე ნაკლები და აისწორედ ამიტომაც დაიწყო საერთო ზრუნვა ამ საგნის თაობაზე. მაგრამ ავიღოთ თუნდა მარტო რომელიმე ნაწილი რუსეთისა, მაგალითად, მოსკოვის გუბერნია. იქ მცხოვრებთა რიცხვი 2.180,000-ა და 1883—87 წწ. საშუალო ყოველ-წლიური მოსავალი იყო 14.000,000 ფუთი შავი პური და ხორბალი, ხოლო 1888 წელს 15 მილიონი. ე. ი. კაცის თავზე $6\frac{1}{4}$ ფუთი. მაშასადამე, იქ, როგორც ინგლისშიაც, ნიადაგ ნაკლები ყოფილა მოსავალი, იმაზედაცკი ნაკლები, როგორც საერთოდ წელს მთელს რუსეთშია. ახლა რაშია აქ საქმე? საქმე ისაა, რომ მოსკოვის გუბერნია ინგლისსავით მრეწველობის ქვეყანაა და საერთოდ მთელი რუსეთი-კი არა. აი, ამის გამოა საჭირო გავითვალისწინოთ, თუ რა ურთიერთობაა მრეწველობასა და ხალხის გამოკვებას შორის.

მოსკოვის გუბერნია შედარებით რუსეთის შიდა გუბერნიებთან ღარიბია პურით. ინგლისიც ასეთივე ქვეყანაა. მაგრამ ყველამ უწყის, რომ ინგლისში მეურნეობა ყველა ქვეყანაზე ძლიერაა განკარგებული. საქმე იმაშია, რომ სიღარიბე ქვეყნისა ხელს აკიდებინებს ხალხს მრეწველობისათვის და ამ გვარად სხვა ქვეყნების პურითა სცხოვრობენ. ამ სახით ერთის მხრით პური ასაზრდოებს ხალხს, მაგრამ მეორე მხრით იმისი ნაკლებლობა აიძულებს სხვა გვარ სიმდიდრის ძებნას, თუმცა, მართალია, ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების მაგალითი-კი გვიმტკიცებს, რომ პურის მოყვანაცა და მრეწველობაც შეიძლება რიგიანად შეეწყვნენ ერთმანეთს. ამის გამო საფუძველი არა გვაქვს ვილაპარაკოთ, ვითომ მიწად მოქმედება უშლიდეს რუსეთს მრეწველობას. ამიტომ საჭიროა უფრო დაკვირვებით გამოვიკვლიოთ ჩვენი საგანი და ჩვენი ყოფა.

(შემდეგი იქნება)

წვრილი ამბავი

26 იანვარს ნიუ-იორკის სასტუმროს „Hotel-Royal"-ს ცეცხლი წაეკიდა და სულ ერთიანად გადიბუგა. 5 კაცი ცეცხლში დაიწვა, 80 მძიმედ დასახიჩრდა, 69 მცირედ დაშავდა და 81 კაცი თეთრეულის ამარა გამოვარდა სასტუმროდამ. ტანისამოსი, ავეჯი, სამკაული და რაც რამ ჰქონდათ სასტუმროში, სულ ერთიანად დაიწვა.

— გამოჩენილი ამერიკელი მწერალი მარკ ტვენი, რომელიც ამ ჟამად ბერლინში იმყოფება, ძლიერ ავად არის თურმე. მარკ ტვენი ინფლუენციით იყო ავად და ეხლა ფილტვის ანთებად გადაქცევია ეს ავადმყოფობა.

— ამ მოკლე ხანში გარდაცვალებულს მეურნალს მაკენზის, როგორც ეხლა აღმოჩნდა, 250,000 მარკა მიუღია ჯილდოდ იმპერატორის ფრიდრიხ III წამლობაში.

— ბერლინის უნივერსიტეტში შემოღებული იქნება რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ისტორიის სწავლება.

— ამას წინად მცირე წლოვანმა ჰოლლანდიის დედოფალმა ვილჰელმინამ რაღაც ცელქობა ჩაიდინა თურმე. დედოფლის აღმზრდელმა ინგლისელმა ქალმა, მისს ვინტერმა დასაჯა და ევროპის რუკა მისცა დასახატად. პატარა დედოფალს ეს ეწყინა და იმითი გადუხადა თავისს ინგლისელს აღმზრდელს, რომ მთელი ინგლისი ჰოლლანდიის ოდენა დახატა თურმე რუკაზედ და ჰოლლანდია-კი ინგლისის ოდენა.

— კოპენჰაგენის ახლად გამართულს „თავისუფალს თეატრში" ამას წინად უთამაშნიათ ახალგაზდა მწერალის ვიდის პიესა „ქორწინების ღამე". იმ დროს, როცა სცენაზედ მკვლელობა ხდებოდა, ხალხსა ისე აღელდა თურმე, რომ წარმოდგენის დასრულება აღარ დააცალა არტისტებს.

— ელბერფელდის სასამართლომ 23 იანვარს ორის თვით ციხეში დაპატიმრა ა მაუსაკა სოციალ-დემოკრატიულის გაზეთის „Freie Presse"-ს რედაქტორს იმის გამო, რომ გაზეთის რამდენსამე ნომერში ცუდის სიტყვებით მოიხსენია ქრისტეს სარწმუნოება.

— ამ წლის 22 მარტს შესრულდება სწორედ ასი წელიწადი მას შემდეგ, რაც ტელეგრაფია მოგონილი.

წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს გაზეთში ამასთანავე წარმოგზავნილს სიას შემომწირველთა, რომელთაც ჩემდამო რწმუნებულს ქუთაისის წმ. გიორგის ეკკლესიას შემოსწირეს სხვა-და-სხვა ნივთები და სამკაულები, და ნება მომცეთ თქვენისავე გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა ვუძღვნა შემომწირველთ, როგორც ჩემის მხრით, აგრეთვე ჩემის მრევლის მხრითაც. სია შემომწირველთა: მღვდელმა იოსებ აბრამიშვილმა შესწირა გუმბათზე დასადგმელი ჯვარი, ღირებული 200 მან. სიმონ ალერწიანის ქ-ვმა ან-სიამ ერთი კანდელი—180 მ. ერთი წყვილი დროშა—40 მ. ერთი კრეტსაბმელი—25 მ. ერთი ხალიჩა—8 მ., ბ. მასხულ შნიდერმა ერთი ოქროთი დაფერილი ვერცხლის ზარძიმ-ფეშხუმი, კამარა (კარსკვლავი) თავისის ლანკარით, ორის დანკაპით, ტაკუკით და დაფარნებით—200 მან., დიმიტრი ზასტაძემ ვერცხლით მოჭედილი სახარება—150 მ.; ივანე ბაქრაძის ქ—ვმა დარია ხელთუფლიშვილის ასულმა გარდამოხსნა თავისა კუბოთი—75 მან.; ქ-ბ. დარია ზ. გაბაევისამ ერთი წყვილი დიდრონი შანდლები—18 მ., თ. სიმონ ლორთქიფანიძის მეუღლემ ერთი წყვილი დიდრონი შანდლები—18 მ., თ. ანტონ ლორთქიფანიძემ ერთი კანდელი და ერთი წმ. ელენეს ხატი—60 მ., ბ. მასკალ ნ. ქუთათელაძემ ერთი წმ. მარტოანას ხატი პატარა კანდელით. ბ. პიმენ გ. გაბაევმა კათედრა თავისის გადასაფარებლით. კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ტრაპეზზედ დასადგმელი სანაწილე, ღირებული 70 მ.; თ. გიორგი ნიჟარაძის ქ-ვმა ორი ხატი—8 მ. ქ-ბ. მანადორა ბესარიონ ხელთუფლიშვილის ასულმა ზეწრის საკურთხი—8 მ. გიორგი კოსტავამ 15 ფუთიანი ზარი. დოდო კარდანაშვილისამ ტრაპეზზედ გადასაფარებელი ფარჩა—12 მ.; ერმოლოზ ხასხუეიშვილმა ერთი ხის ჯვარი, ვერცხლით მოჭედილი—12 მ.; ნიკოლოზ მაღრაძემ ერთი კანდელი—12 მ.; ონისიმე ოქრომჭედლოვმა ერთი კანდელი—8 მ. ევემია და მარიამ ადამიას ასულთა ერთი წყვილი ტრაპეზზედ დასადგმელი შანდლები—8 მ.; ელისაბედ ზერიძისამ ერთი ხელი დაფარნები—2 მ. სარდიონ ფუთურიძემ ერთი ოლარი—3 მ. ოლღა ლორთქიფანიძის ასულმა ერთი ოლარი—2 მ. ბაბუსია ზეკენეიშვილისამ ერთი შანდალი—6 მ., ალექსანდრე ზუკუნსკამ ერთი თითბრის ტაშტი—1 მ., ტარიელ გეჯაიშვილმა ერთი საცეცხლური—3 მ., გიგო ზერიძის ქ-ვმა ერთი საცეცხლური ღირებული 3 მანეთი.

ქუთაისის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი
ნესტორ ყუბანეიშვილი

დეპეშა

6 თებერვალი

ლონდონი. ელისგის რკინის ბაზარში დიდი მღელვარებაა. ფასმა $4\frac{1}{2}$ შილინგით დაიკლო, რადგანაც ხმა გავრცელდა, რომ ძველი ლონდონის სარკინო სინდიკატი ლიკვიდაციას იწყებსო.

პეტერბურგის ბირჟა, 4 თებერ.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	8, 09	8, 12	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	$161\frac{1}{2}$	$162\frac{1}{4}$	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	1, 17	1, 19	— ,
5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . .	— ,,	— ,,	$235\frac{3}{4}$
—მეორისა . . .	— ,,	— ,,	225
—მესამისა	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	198	— ,,	$200\frac{1}{2}$
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%.	— ,,	— ,,	— ,,
5%.	— ,,	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6%.	,,	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— ,,	— ..	— ,,

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1892 წ. 18 იანვრიდამ ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ „
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — . — 8 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.
„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.
ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.
„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.
ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუაღღ.
ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.
განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დილისით 4 საათზე; მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ქერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით, დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობით საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

განცხადებანი

ხომლი ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ დაიბეჭდა მეორე გამოცემით წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. წიგნი მოწონებულია განათლების სამინისტროსა და უწმინდესის სინოდისაგან სკოლებში სახმარებლად. ღირს ექვსი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ოცდა ათს ცალსა, ან მეტსა, წიგნი დაეთმობა 25 კაპეიკად. წიგნი ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, არწრუნისეულს ქარვასლაში № 125 და 126.

სოფელ მერჯევის მცხოვრებელს შორაპნის მაზრაში ფილიმონ ნემიქაძეს, რომელიც გარდაიცვალა 19 დეკემბერს 1891 წელს, ჰქონდა ორი მომგებიანი ბილეთი: ერთი პირველის სესხისა სერია 16,449 № 8 და ერთიც მეორე სესხისა სერია 17975 № 28. ეს ბილეთები მისს სიკვდილს შემდეგ აღარა სჩანს. ვთხოვთ, ვისაც ეს ბილეთები აქვს, დაუბრუნოს აპეკუნს.

აპეკუნი ტარიელ ქავთარაძე, მცხოვრებელი სოფელს ინაწმინდაში (შორაპნის მაზრა).

(2—1)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 10 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—21)

„წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

	მან.	კაპ.
ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი	„	40
ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . .	„	40
თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. .	1	20
იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე	2	50
სამივე ტომი. . . .	7	„
სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა	1	20
თხზულებანი ი. დავითაშვილისა	„	80
მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა	„	20
წყალობა პოემა მისივე .	„	20
სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა	„	25
თამარ, სპარსული ლეგენდა	„	10
დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა.	„	15
ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. .	„	50
ი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . .	„	30
ნაქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა	„	50
თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა .	1	„
კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე	„	20
პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე .	„	50
საყმაწვილო ამბები მისივე	„	40
ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა.	„	25
თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი	„	50
თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა	„	60
თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ.	„	40
ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა	„	30
ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . .	„	50

Дозв. ценз. Тифлисъ, 6-го Февраля 1892 г.
სტამბა დ. ძარაძისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.